CPV 48500000

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 934

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 4 09 2013 წ.

ერთის მხრივ შინაგან საქმეთა სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №10
(შემდგომში „შემსყიდველი“)

(შემსყიდველის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ შ.პ.ს. “მაი მობაილ+” მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის №9ა.
(შემდგომში „მიმწოდებელი“)

(მომწოდებლის დასახელება და იურიდიული მისამართი)

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

შემსყიდველმა გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი - SPA130017726 – ჰაბიდოსკოპიური საიდენთიფიკაციო სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვაზე.

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: ჰაბიდოსკოპიური საიდენთიფიკაციო სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა.

და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება საქონლის მიწოდებაზე შემდეგ თანხაზე:

125 000.00 (ასოცდახუთი ათასი) ლარი;

ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა: 125 000.00 (ასოცდახუთი ათასი) ლარი.

(მიუთითეთ ხელშეკრულების თანხა ციფრებითა და სიტყვიერად)

(შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ.

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და ფასების ცხრილი;

გ) ტექნიკური პირობები;

დ) ხელშეკრულების საერთო პირობები;

ე) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

5. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები.

შემსყიდველი ორგანიზაცია:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

მიმწოდებელი ორგანიზაცია:

შ.პ.ს. „მაი მობაილ+"
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს "პროკრედიტბანკი"
ბანკის კოდი: MIBGGE22
ს/კ: 205 294 705
ა/ა: GE02 PC00 5360 0100 0197 13

შსს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე

ოთარ დანელია

შპს „მაი მობაილ+"-ს დირექტორი

ანა მეტრეველი

დანართი №1 2013 წლის "4" "09" "№934" ხელშეკრულებასთან

## ფასების ცხრილი

| № | საქონლის დასახელება | საქონლის ძირითადი მახასიათებლები (ტექნიკური პირობები) | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | ჯამური ღირებულება (ლარი) | მიწოდების ვადა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჰაბიტოსკოპიური საიდენტიფიკაციო სისტემა Papillon Polyface | ტექნიკური მახასიათებლები დანართი 2–ს შესაბამისად. ჰაბიტოსკოპიური საიდენტიფიკაციო სისტემის შემადგენლობა და შესასრულებელი სამუშაოები: ერთი ერთეული სერვერის ლიცენზია რომელიც ითვალისწინებს ცენტრალური პროცესორის 12 გამოთვლით ბირთვს, ასევე მონაცემთა ბაზას 500 000 ჰაბიტოსკოპიურ ბარათის ტევადობით და დღეში 500 ბარათის გამტარუნარიანობას; 20 მუშა სადგურის ლიცენზია (მათგან 4 ერთეული ლიცენზიის ერთდროულად გამოყენების შესაძლებლობით); თითოეული სადგურის მონაცემთა ბაზას 20 000 ჰაბიტოსკოპიურ ბარათის მოცულობითი ტევადობით და დღეში 20 ბარათის გამტარუნარიანობით; - მწარმოებლის სპეციალისტი გამართავს ჰაბიტოსკოპიური საიდენტიფიკაციო სისტემას ზემოაღნიშნული ცენტრალურ სერვერზე და მუშა სადგურებზე; - გამართავს ფაილების იმპორტის დამხმარე პროგრამას და გაუწევს დახმარებას პერსონალს არსებული ბაზის იმპორტირებაში; - ჩაატარებს სპეციალისტების მოსამზადებელ 2 დღიან ექსპრეს კურსს. დამონტაჟება განხორციელდება დამკვეთის – შემსყიდველის მიერ წარმოდგენილ კომპიუტერებზე.პროგრამული უზრუნველყოფის მინიმალური სისტემური მოთხოვნები: პროცესორი - Intel Core i3 2,6 Ghz; ოპერატიული - 2GB RAM; მყარი დისკი 320GB ROM; ვიდეოკარტა 128 MB Video. თითოეულ წარმოდგენილ კომპიუტერზე დაყენებული იქნება ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფა. | 1 | 125000.00 | 125000.00 | ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე | ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №8; |
| | | | | | 125000.00 | | |

დამკვეთის მხრიდან:

შსს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის
დირექტორის მოადგილე

ოთარ დანელია

შემსრულებლის მხრიდან:

შპს "მაი მობაილ+"-ის
დირექტორი

ანა მეტრეველი

205294705

დანართი 2

## ჰაბიტოსკოპიური საიდენთიფიკაციო სისტემისპროგრამული უზრუნველყოფის

## ტექნიკური მახასიათებლები:

სისტემა განკუთვნილია ავტომატიზირებული აღრიცხვის წარმოებისა და პიროვნების იდენტიფიკაციისათვის სახის 2D გამოსახულებით. ავტომატიზირებული აღრიცხვა ისახავს მიზნად მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნას, რომელიც მოიცავს ტექსტურ მონაცემებს, სახის ფოტო გამოსახულებებს და პიროვნების სიტყვიერ აღწერილობით პორტრეტს. მონაცემთა ბაზაში გამოსახულების შეყვანა შესაძლებელი უნდა იყოს სხვადასხვა წყაროებიდან. სტანდარტული გრაფიკული ფორმატების (jpeg, tiff, png და სხვა) ფაილებიდან, ციფრული ფოტოაპარატიდან, ფოტოსურათების სკანირებით პლანშეტური სკანერის საშუალებით. სისტემაში შეყვანილი გამოსახულებები იყოფა 2 ჯგუფად.

1) ბარათები – იმ პიროვნებების რეგისტრაციისათვის, რომელთა დასადგენი მონაცემები ზუსტად ცნობილია.
2) მოთხოვნითი ბარათები – იმ პიროვნების რეგისტრაციისათვის, რომელთა მონაცემები არაზუსტია ან დასადგენი მონაცემები უცნობია. ამ ჯგუფში ობიექტების ფოტო გამოსახულებისათვის შეიძლება გამოყენებული იყოს სუბიექტური პორტრეტები (ფოტორობოტები).

მონაცემთა ბაზაში სარეგისტრაციო ფოტო გამოსახულების მოთავსება კოდირებულია (უნდა იქნას დამუშავებული).

ოპერატორი გამოსახულებაზე ადგენს ყველა ხილული ანთროპომეტრიული წერტილებს არსებული მეთოდიკის შესაბამისად. წერტილების (წერტილების საერთო რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 28 ერთეულს) მასივი უნდა ინახებოდეს ობიექტის შემადგენლობაში და გამოიყენებოდეს ფოტო გამოსახულების შედარების ალგორითმები. კოდირების რეჟიმები:

1) ავტომატური - ოპერატორი მონიშვნას უნდა აკეთებდეს მხოლოდ თვალის ცენტრზე;
2) მექანიკური - წერტილების განთავსება უნდა ხდებოდეს ხელით, რედაქტირების საშუალებით;
3) ნიღბით - ნიღბით კოდირების რეჟიმი პრაქტიკულია მონაცემთა ბაზაში დიდი მოცულობის გამოსახულების შეტანისათვის ტიპიური, მკაფიოდ გამოხატული ნაციონალური ნაკვთების მქონე სახეებისათვის. ნიღაბი – უნდა იყოს ანთროპომეტრიული წერტილების განლაგების შაბლონი რომელსაც სისტემა ავტომატურად უნდა ქმნიდეს ერთმანეთის მსგავსი გამოსახულების სერიების კოდირების (დამუშავების) შემდეგ. შემდგომ ოპერატორს უნდა შეეძლოს დაადოს ეს ნიღაბი მომდევნო დასამუშავებელ გამოსახულებას წერტილების მდებარეობის მცირე კორექციით.

ყველა შეყვანილი ობიექტი (ფოტოსურათი) უნდა ინახებოდეს სისტემის მონაცემთა ბაზაში, პროგრამაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი ინფორმაცია მონაცემთა ბაზაში არსებული ობიექტის შესახებ (ტექსტური მონაცემები, ფოტო გამოსახულება, ანთროპომეტრიული წერტილები, სიტყვიერი აღწერილობა).

მონაცემთა ბაზაში ხელახლა შესაყვანი ობიექტისათვის სისტემა უნდა ახორციელებდეს მსგავსი ობიექტების ავტომატურად ძიება-ამოცნობას და ქმნიდეს სარეკომენდაციო სიას, რომელიც ფოტოალბომის სახით ვიზუალური დათვალიერებისათვის მიეწოდება ოპერატორს თანადამთხვევის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

შესაყვანი ბარათებისათვის ძიება უნდა განხორციელდეს ფოტო გამოსახულების ბარათებისა და მოთხოვნის ბარათების მიხედვით. ასევე მონაცემთა ბაზაში არსებული ტექსტური ბარათების მონაცემთა თანადამთხვევის მიხედვით. ძიების შედეგების მიხედვით უნდა შეიქმნას სარეგისტრაციო სიები:

1) ბარათი – ბარათთან;
2) ბარათი – მოთხოვნით ბარათთან;
3) თანადამთხვევითი ტექსტური მონაცემების სიები.

შესაყვანი მოთხოვნითი ბარათებისათვის ძიება უნდა განხორციელდეს ფოტო გამოსახულების ბარათებისა და მოთხოვნის ბარათების მიხედვით და შეიქმნება სარეკომენდაციო სიები:

1) მოთხოვნის ბარათი – ბარათები
2) მოთხოვნის ბარათი – მოთხოვნის ბარათები.

სისტემა უნდა იძლეოდეს ყველა სახის სიების დათვალიერების საშუალებას, ობიექტების რედაქტირებას, მონაცემთა ბაზების, იდენტიფიკაციის შედეგების ამობეჭდვის საშუალებას. სისტემამ ოპერატორს უნდა წარმოუდგინოს ყველა საჭირო ინსტრუმენტების ნაკრები, რომლებიც მისცემს საშუალებას მონაცემთა ბაზიდან ამოარჩიოს სასურველი ობიექტი, მათ შორის სიტყვიერი აღწერილობის მიხედვით, ასევე გამოარჩიოს სხვადასხვა კრიტერიუმებით ობიექტების სია.

**ჰაბიტოსკოპიური საიდენტიფიკაციო სისტემის შემადგენლობა და შესასრულებელი სამუშაოები:**

ერთი ერთეული სერვერის ლიცენზია რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ცენტრალური პროცესორის არანაკლებ 12 გამოთვლით ბირთვს, ასევე მონაცემთა ბაზას არანაკლებ 500 000 ჰაბიტოსკოპიურ ბარათის ტევადობით და დღეში არანაკლებ 500 ბარათის გამტარუნარიანობას;

არანაკლებ 20 მუშა სადგურის ლიცენზია (მათგან 4 ერთეული ლიცენზიის ერთდროულად გამოყენების შესაძლებლობით); თითოეული სადგურის მონაცემთა ბაზას არანაკლებ 20 000 ჰაბიტოსკოპიურ ბარათის მოცულობითი ტევადობით და დღეში არანაკლებ 20 ბარათის გამტარუნარიანობით;

- მწარმოებლის სპეციალისტმა უნდა გამართოს ჰაბიტოსკოპიური საიდენტიფიკაციო სისტემა ზემოაღნიშნული ცენტრალური სერვერზე და მუშა სადგურებზე;

- გამართოს ფაილების იმპორტის დამხმარე პროგრამა და გაუწიოს დახმარება პერსონალს არსებული ბაზის იმპორტირებაში;

- ჩაატაროს სპეციალისტების მოსამზადებელი 2 დღიანი ექსპრეს კურსი.

დამონტაჟება უნდა განხორციელდეს დამკვეთის – შემსყიდველის მიერ წარმოდგენილ კომპიუტერებზე.

პროგრამული უზრუნველყოფის მინიმალური სიტემური მოთხოვნები: პროცესორი - Intel Core i3 2,6 Ghz; ოპერატიული - 2GB RAM; მყარი დისკი 320GB ROM; ვიდეოკარტა 128 MB Video.

თითოეულ წარმოდგენილ კომპიუტერზე დაყენებულ უნდა იქნას ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფა.

შსს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე

ოთარ დანელია

შპს „მაი მობაილ+"-ს დირექტორი

ანა მეტრეველი

# ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №10
(შემდგომში შემსყიდველი)

და მეორეს მხრივ შ.პ.ს. "მაი მობაილ+" მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის №9ა.
(შემდგომში მიმწოდებელი)

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს *ჰაბიდოსკოპიური საიდენთიფიკაციო სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა დანართი №1 (ფასების ცხრილი) შესაბამისად. ხელშეკრულების ღირებულება: 125 000.00 (ასოცდახუთი ათასი) ლარი.*

ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

კონტროლს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით განახორციელებს სპეციალური ჯგუფი (ინსპექტირების ჯგუფი) შემოწმდება რამდენად დაცულია ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ; ფაქტიურად მიწოდების ვადა, ფორმა და ხარისხი.

ინსპექტირების ჯგუფი:

*1. შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს, ჰაბიტოსკოპიური და კომპიუტერულ-ტექნიკური ექსპერტიზის განყოფილების უფროსი ზურაბ ებელაშვილი.*

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი (საქონელი) ან მისის ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.
4.2. შესყიდვის ობიექტის (მისის ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შემდეგ გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
4.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შემდეგ დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით.
4.4 მიმწოდებლის მიერ მიწოდებული შესყიდვის ობიექტი (საქონელი) უნდა იყოს მაღალი ხარისხის.

5. ანგარიშსწორება

5.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულების 30%-ის ოდენობით წინასწარ, (საავანსო გადახდა) მიმწოდებლის მიერ შესაბამის თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, ხოლო დანარჩენი ეტაპობრივად, საქონლის ყოველი პარტიის გადაცემის შემდეგ 20 კალენდარული დღის განმავლობაში კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მასში აღნიშნული რაოდენობის პროპორციულად.
5.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.
5.3 გადახდის ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება.

6. ფასები

6.1 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის გაზრდა დაუშვებელია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ზემოთ აღნიშნული შესყიდვის ობიექტი (საქონელი) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.2 მიმწოდებლის მიერ ანაზღაურებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაში უნდა იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტთან მიმართებაში.

7.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

7.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.5 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მომწოდებელს საურავი ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე დროულად **მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.**

7.6 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების **5%-ის ოდენობით.**

8. სადავო საკითხების გადაწყვეტა

8.1 მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა მოხდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ მიმწოდებელი არ არის საქართველოს რეზიდენტი, ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების განხილვა განხორციელდება საარბიტრაჟო გარჩევის გზით, საერთაშორისო სავაჭრო სამართლის შესახებ გაეროს საარბიტრაჟო კომისიის წესების შესაბამისად.

9. ხელშეკრულების შესრულების გარანტია.

9.1. არ გამოიყენება.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა.

შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

შემსყიდველი ხელშეკრულების სრული ან ცალკეული შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მიმწოდებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

11. დამატებითი პირობები

11.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

11.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

11.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

11.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ მოხდა საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

11.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

11.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ოთხ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება „შემსყიდველთან“ და „მიმწოდებელთან“.

11.7. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

შსს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე

ოთარ დანელია

შპს „მაი მობაილ+“-ს დირექტორი

ანა მეტრეველი

# ხელშეკრულების საერთო პირობები

*ხელშეკრულების საერთო პირობები წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. ისინი ატარებენ ტიპიურ ხასიათს და უნდა იქნან გამოყენებული ყოველგვარი ცვლილებების გარეშე იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს შეესაბამება კონკრეტულ შესყიდვას.*

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ "ხელშეკრულება") შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2"ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

## 2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

## 3. საპატენტო უფლებები

3.1 საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

## 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან. ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში და/ან ტექნიკურ პირობებში უნდა იყოს მითითება თუ რა სახის შემოწმებები და გამოცდები სჭირდება შემსყიდველს და ასევე სად უნდა გაიმართოს ისინი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

## 5. შეფუთვა

5.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან ფასების ცხრილში მითითებული დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში. შეფუთვამ უნდა გაუძლოს ინტენსიურ ამწევ-გადასატვირთ ზემოქმედებას, გადატვირთვის დროს ექსტრემალური ტემპერატურის, მარილების და ნალექის ზემოქმედებას, ასევე ღია ცის ქვეშ შენახვას.

5.2 შეფუთვის სახეობა, თითოეული ფუთის გაბარიტები და წონა, მისი მარკირება და თანმხლები დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ სპეციალურ მოთხოვნებს.

**6. საქონლის მიწოდების პირობები**

6.1 საქონლის მიწოდება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ, საქონლის მიწოდების გრაფიკის შესაბამისად. დეტალური ინფორმაცია ტრანსპორტირების და მასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების გამიჯვნის შესახებ მოყვანილია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

6.2 დოკუმენტები, რომლებიც წარმოდგენილ უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საქონლის გადატვირთვისას მითითებულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

**7. დაზღვევა** *(ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)*

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები (ცალკეული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება, მიმწოდებლის და/ან სუბ-კონტრაქტორის პერსონალი და სხვა) ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

**8. თანმდევი მომსახურება**

8.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით გათვალისწინებული თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია საქონლის მიწოდებასთან და/ან შესყიდვის ობიექტის შემდგომ ექსპლუატაციასთან.

8.2 თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

**9. სათადარიგო ნაწილები**

9.1 შემსყიდველს შეუძლია მოითხოვოს მიმწოდებლისაგან მის მიერ წარმოებული ან სარეალიზაციო სათადარიგო ნაწილების შესახებ შემდეგი ინფორმაციის წარმოდგენა:

(ა) იმ სათადარიგო ნაწილების ნომენკლატურა და ღირებულება, რომლებიც შემსყიდველმა შეიძლება შეისყიდოს მიმწოდებლისაგან, რათა გამოიყენოს ისინი საგარანტიო ვადის დასრულების შემდეგ;

(ბ) მიმწოდებლის მიერ სათადარიგო ნაწილების წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში:

1. წინასწარ უნდა აცნობოს შემსყიდველს, წარმოების მოსალოდნელი შეწყვეტის შესახებ, რათა მისცეს მას საშუალება განახორციელოს აუცილებელი შესყიდვები, საჭირო რაოდენობით;

2. აუცილებლობის შემთხვევაში, წარმოების შეწყვეტის შემდგომ, უფასოდ მიაწოდოს შემსყიდველს სათადარიგო ნაწილების გეგმები, ნახაზები და ტექნიკური დოკუმენტაცია.

**10. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

10.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

10.2 შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების ადგილი, პირობები, ეტაპები და წესი ასახულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

10.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

10.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

**11. გარანტია**

11.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

11.2 ამ გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით.

11.3 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

11.4 გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის ექსპლუატაციის პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

**12. ანგარიშსწორება**

12.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული ფორმითა და ვადებში მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

12.2 მიმწოდებლის წერილობით მოთხოვნას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული დოკუმენტაცია.

**13. ანგარიშსწორების ვალუტა**

13.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში *(თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტია).*

13.2 ანგარიშსწორება განხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ საანგარიშსწორებო ვალუტაში მისი ლართან მიმართებაში დაფიქსირებული კურსით.

**14. ფასები**

14.1 შემსყიდველის მიერ საქონლის მიწოდებისა და თანმდევი მომსახურების გაწევის ხელშეკრულებაში მითითებული ფასები არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებაში მითითებულ ფასებს.

14.2 ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ასეთი რამ გათვალისწინებულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

**15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

15.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

15.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

15.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

15.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**16. უფლებების გადაცემა**

6.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებითYარსებული თავისი ვალდებულებები.

**17. სუბკონტრაქტორები**

17.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წიანდადებაში.

17.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

17.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

**18. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

18.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

18.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

**19. ხელშეკრულების შესრულების გარანტია** ***(ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)***

19.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო. (გარანტირების მექანიზმის გამოყენება სავალდებულოა თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 600.000 ლარს და გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტს და არ უნდა იყოს 2 პროცენტზე ნაკლები). იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომელთა დადგომა გამოიწვევს მიმწოდებლისათვის გარანტიის დაუბრუნებლობას და აღნიშნულ გარემოებათა დადგომის გამო, შემსყიდველისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით, საგარანტიო თანხის გამოყენების წესი განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

19.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

19.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

**20. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

20.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

20.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**21. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო**

21.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი ეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

21.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

21.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

21.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

**22. ფორს-მაჟორი**

22.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

22.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

22.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**23. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

23.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

23.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**24. გამოყენებული სამართალი**

24.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**25. ხელშეკრულების ენა**

25.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

**26. შეტყობინება**

26.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

26.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

**27. გადასახადები და დაზღვრა**

27.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

27.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.